იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოეთის ხმა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-12 წელი

№ 16 (100)

აგვისტო,

1968 წელი



ქართველი სტუდენტი ახალგაზრდობა.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ბალი მტკვრის პირას

მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გორის მახლობლად გადაჭიმულა მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სკრის მეხილეობის სადგურის ხეხილის ბაღები. აქ ასობით ჯიშის ხეხილია, მარტო ატამი 120 ჯიშისა, ხოლო ვაშლი 400-ზე მეტი ჯიშისა. შესანიშნავი ქლიავი, მსხალი, ბალი, გარგარი, კომში. ხილის დამწიფების დროს ბაღი ელვარებს ათასფრად, აფრქვევს სასიამოვნო სურნელებას.

ბაღი მტკვრის პირას თავისებური მწვანე აუდიტორიაა. აქ რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდან მოდიან ხეხილის მოყვანის უახლესი ხერხების შესასწავლად კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, სპეციალისტები. ქართლის, კახეთის, სამხრეთ ოსეთის, დასავლეთ საქართველოს მეურნეობებში მუშაობს უხვი მოსავლის ბევრი ოსტატი, რომელმაც ცოდნა და გამოცდილება გაიმდიდრეს ამ სადგურის თანამშრომლებთან.

ლაბორატორიებში, სამეცნიერო კაბინეტებში, საურდენ პუნქტებში გაჩაღებულია მუშაობა ბაღების მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის, ხილის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ახალი ძვირფასი ჯიშების გამოყვანისათვის. ამ საქმეზე მუშაობს 30 მეცნიერი თანამშრომელი. მათ შეიმუშავეს და წარმოებაში დანერგეს ბევრი სასარგებლო ღონისძიება. ასეთია, მაგალითად, სარწყავი ბაღების ნიადაგის შენახვის პროგრესული ხერხები, ვაშლის გასხვლის ეფექტიანი მეთოდები, ხილის ნარგავებისათვის განკუთვნილი ნაკვეთების გაპოხიერების ახალი სისტემა და სხვ. სატყეო მეურნეობებში წარმატებით იყენებენ კაკლის ვეგეტაციურ გამრავლებას. დიდ ეფექტს იძლევა ძველი ხეების ღრმა გასხვლა-გაახალგაზრდავება. გაახალგაზრდავების შემდეგ, რაც მარტო გორის რაიონის ბაღებში 500 ჰექტარზე შესრულდა, ძველი ხეები კვლავ იძლევიან კარგ მოსავალს.

საგულისხმოა, რომ საცდელი სადგურის ბაღებში არ არის მოსავლიანობის მეწყლეობა. არახელსაყრელი კლიმატური პირობების დროსაც კი ისინი უხვ მოსავალს იძლევიან. ასე იყო გვალვიან 1966 წელს, როცა აქ ჰექტარზე საშუალოდ მიიღეს 100 ცენტნერზე მეტი ვაშლი.

ძნელია ნახო მეხილეობის კოლმეურნეობა ან საბჭოთა მეურნეობა, სადაც არ ყოფილიყვნენ სკრის საცდელი სადგურის მეცნიერი თანამშრომლები.

თავიანთ გამოკვლევებს, რეკომენდაციებს, ისინი აქტიურად ნერგავენ წარმოებაში, პრაქტიკულად უჩვენებენ, თუ როგორ უნდა ნარგავებისა და ნიადაგის მოვლის ამა თუ იმ ხერხის გამოყენება. ყოველ წელიწადს კურსებსა სემინარებზე სადგურის მუშაკები ბევრ მებაღეს უმაღლებენ კვალიფიკაციას.

სკრის მებაღეობის სამეცნიერო ცენტრი მაღალხარისხოვანი ხეხილის გამავრცელებელია. აქ არის 25 ჰექტარი სანერგე, სადაც ყოველწლიურად გამოჰყავთ და კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს აძლევენ ახალი ჯიშის თესლოვანი და კურკოვანი კულტურების სტანდარტულ ნერგებს. ბევრი ახალი ჯიშის ხეხილი გაიგზავნა სახელმწიფო გამოცდაზე, ხოლო ატამი „სკრის საადრეო“, ბალი „სკრის შავი“ შეტანილია ხეხილის სტანდარტულ ასორტიმენტში და ფართოდ ინერგება წარმოებაში.

შესანიშნავი გემოს და გამძლეობის სკრის ვაშლი „ივერია“ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალური გადაწყვეტილებით დანერგილია წარმოებაში პირველად ჯიშთაგმოცდის გაუვლელად. ამ ჯიშის ვაშლს ნახავთ რუსეთის სფსრ, უკრაინის, მოლდავეთის ბაღებში, მისი ნერგები იგზავნება რუმინეთში, ბულგარეთსა და სხვა ქვეყნებში.

ჩაფიძეების ოჯახის 250.000 ტონა...

გეოლოგიური პირობებით ყველაზე რთულ ტყიბულის ერთ-ერთი შახტის უბანს ბონდო ჩაფიძე ხელმძღვანელობს.

ჩაფიძეების გვარს კარგად იცნობენ ქართველ მეშახტეთა ქალაქ ტყიბულში. მას სახელი მოუხვეჭა საპატიო მეშახტემ ალექსანდრე ჩაფიძემ, რომელმაც ოცდათი წელი მოახმარა ძნელ, მაგრამ საყვარელ საქმეს. ახლა იგი პენსიაზეა. მამის საქმეს განაგრძობენ ვაჟიშვილები ლევანი, ბონდო და გიორგი, რომლებიც ლენინის სახელობის შახტში მუშაობენ.

უფროსი ვაჟიშვილი ლევანი გვირაბგამყვან-მებიგეა. ბონდო კი შახტში მოვიდა რიგით მნგრეველად, ახლა კი უბნის უფროსია. იგი არა მარტო თავისი საქმის ოსტატი და უნარიანი რაციონალიზატორია, არამედ გაბედული ჭაბუკიცაა. მის ბიოგრაფიაში არის პატარა, მაგრამ დასამახსოვრებელი ფურცელი, ჩამონგრეულმა ქვანახშირმა ამოავსო კვერშლაგისა და შტრეკის ნაწილი, სადაც სამი გვირაბგამყვანი იყო. გარესამყაროს მოწყვეტილი ადამიანები შეიძლებოდა დაღუპულიყვნენ. ძვირფასი იყო ყოველი წუთი. სამ საათს გაგრძელდა ბრძოლა მეშახტეთა სიცოცხლისათვის. და მამაცებმა, რომლებსაც ბონდო ხილიძღვანელობდა, გაიმარჯვეს: გვირაბგამყვანები გადაარჩინეს.

ძმების კვალდაკვალ წავიდა გიორგიც. იგი თექვსმეტი წლის ჭაბუკი მოვიდა შახტში, უკვე ათი წელია შრომობს. ამ ხნის განმავლობაში წარმოებას მოუწყვეტლივ დაამთავრა ახალგაზრდობის საღამოს სკოლა და ტექნიკუმი. გიორგი ცვლის უფროსია. მისმა ცვლამ ნახევარი წლის დავალების გადამეტებით ამოიღო ასობით ტონა ქვანახშირი.

ჩაფიძეების ოჯახის შრომის სტაჟი 75 წელს უდრის. ამ ხნის განმავლობაში მამამ და სამმა ვაჟიშვილმა ამოიღეს დაახლოებით 250 ათასი ტონა ქვანახშირი.



ბათუმის რაიონი, სოფელი ახალშენი

ბათუმის რაიონის სოფელ ახალშენის კოლმეურნეობა რესპუბლიკის ერთ-ერთი მოწინავე ჩაის მეურნეობაა.

ყოველწლიურად იზრდება კოლმეურნეთა შემოსავალი.

კოლმეურნეობა დიდ სახსრებს ახმარს სოფლის კეთილმოწყობას და მშრომელთა კულტურული მომსახურების გაუმჯობესებას.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამედიცინო მომსახურებას. კოლმეურნეობამ 45 ათასი მანეთი მოახმარა სოფლის ახალი საავადმყოფოს მშენებლობას. საავადმყოფოს აღჭურვა მიმდინარეობს სამედიცინო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. აქ მოთავსდება საოპერაციო, რენტგენოლოგიური კაბინეტი, სტომატოლოგიური და სამშობიარო განყოფილება. ახალი საავადმყოფო 50-საწოლიანია.

უკვე დამთავრდა სოფლის ახალი საავადმყოფოს მთავარი კორპუსის მშენებლობა. ახლა მიმდინარეობს მოპირკეთების სამუშაოები.


სურათზე: სოფლის საავადმყოფო ბათუმის რაიონის სოფელ ახალშენის კოლმეურნეობაში.

ქ. სოხუმი.



ამ რამდენიმე ხნის წინათ სოხუმში რამდენიმე დღე დაჰყო ბერძენმა მწერალმა კოსტას კოძიასმა. მისი მრავალი ნაწარმოები ცნობილია საბჭოთა მკითხველებისათვის. ბერძენი მწერლის ერთ-ერთი უკანასკნელი ნამუშევარი, პიესა „შფოთიანი ღამე“ ქართულად თარგმნა რეჟისორმა გიორგი სულიკაშვილმა.

სურათზე: სოხუმის დრამატული თეატრის რეჟისორი გიორგი სულიკაშვილი (მარჯვნივ) და კოსტას კოძიასი (მარცხნივ) თავის მეუღლე ნატალიასთან ერთად.



სურათზე: სოხუმი, რესტორანი „ამრა“ ზღვაზე.



სამოცამდე ჯიშის ვაზია სოხუმის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო სანერგე მეურნეობაში. მათ შორის ბევრია სუფრის ჯიშები, რომლის კრეფა ამ რამდენიმე დღის წინათ დაიწყო.

სურათზე: მეურნეობის ბრიგადირი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების სტუდენტი ნელი გამცემლიძე რთველში.

ბულგარელი მელიორატორები — საქართველოს სტუმრები

საქართველოს აგროკლიმატური პირობები და ადგილის რელიეფი ძალიან ჰგავს ბულგარეთისას. ამაში დავრწმუნდით, როცა ვიმოგზაურეთ რესპუბლიკის ბევრ სასოფლო-სამეურნეო რაიონში, თქვა ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში ბულგარეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სოფიის ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო კულტურების სარწყავი რეჟიმების სექციის გამგემ იოსებ დელიბალტოვმა. იმავე ინსტიტუტის სარწყავი და ამოსაშრობი სისტემების სექციის გამგე ბოჟიდარ ჩოჩკოვთან ერთად იგი ორ კვირას ეცნობოდა საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერულ გამოკვლევებს სარწყავი მიწების მელიორაციული დარაიონების პრაქტიკული სქემების მეთოდიკის დამუშავებისა და შედგენის დარგში. სტუმრებმა დაათვალიერეს აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს მთელი რიგი სარწყავი სისტემები. დიდი ყურადღება მიექცა, კერძოდ, სარწყავი სისტემების მიკროდარაიონების და ვენახებისა და ბოსტნეული კულტურების მორწყვის ხერხებისა და ტექნიკის შერჩევის გაცნობას.

ბულგარელ მეგობართა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია თეღეთისა და ქვემო სამგორის სარწყავმა სისტემებმა. ისინი ვარაუდობენ სამშობლოში გამოიყენონ რთული რელიეფისა და უწყლო ადგილას მებოსტნეობა-მერძეველობისა და მევენახეობის საგარეუბნო მეურნეობების შექმნის გამოცდილება. ჩვენ ვცდილობთ, თქვა მეცნიერმა, ბულგარეთში დასათესად გამოვიყენოთ ბევრი ჯერ კიდევ გამოუყენებელი მიწის ფართობი, როგორც ეს გაკეთდა საქართველოში, სადაც მორწყვის შედეგად გაშენებულია ვრცელი ვენახები და ბაღები, მოჰყავთ კარტოფილი და სხვადასხვა ბოსტნეული გვალვისათვის წართმეული 370 ათას ჰექტარ ფართობზე.

საქართველოში მალე სარწყავი მიწების ფართობი მიაღწევს 800 ათას ჰექტარს. აქ განზრახულია გამოიყენონ რწყვის ახალი მეთოდები და სარწყავი მიწების დარაიონების უფრო სრულყოფილი ხერხები, რომლებიც რესპუბლიკის მეცნიერებმა შეიმუშავეს.

საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მიმდინარეობს დიდმნიშვნელოვანი გაანგარიშებანი. აქ, კერძოდ, რწყვის განყოფილებაში, რომელსაც ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ბუაჩიძე ხელმძღვანელობს, დარაიონების შემუშავებული მეთოდიკა გამოყენებულია მთელი რიგი მოქმედი სარწყავი სისტემების დაპროექტებისა და ექსპლოატაციის დროს. ინსტიტუტის დახმარებით არჩევენ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მორწყვის ხერხებსა და ტექნიკას მელიორაციის ახალი სისტემების დაპროექტების დროს.

ვანი შენდება

ვანი. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე სრულიად იცვალა სახე დაბა ვანმა. იგი დაამშვენა სახბანკის, ტაბიძის სახელობის საშუალო სკოლის, საბავშვო ბაღის, „საქხილბოსტნის“ დამზადების კანტორის, ცეკავშირის საწარმოო კომბინატის და სხვა შენობებმა.

გაიხსნა ახალი რესტორანი, სამი პავილიონი, ათამდე ახალი მაღაზია, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის სამკერვალო ატელიეები. დაბაში გაკეთდა რუსთაველისა და გ. ტაბიძის ბარელიეფები.

ტყიბულის მინერალური წყლები

ტყიბული. ლენინის სახელობის შახტის ერთ-ერთ ღრმა ჰორიზონტში აღმოაჩინეს მინერალური წყალი, რომელიც აბაზანების სახით გამოიყენება სახსრების, ნერვული, გინეკოლოგიური და სხვა დაავადების სამკურნალოდ. ეს არის მეორე სამკურნალო წყალი ამ შახტის ტერიტორიაზე. ორიოდე წლის წინათ აქ აღმოაჩინეს მინერალური სასმელი წყალი.

ტყიბულის მთაგორიან ადგილებში აღმოჩენილია და ხალხის სამსახურშია ჩაყენებული ბევრი მინერალური წყალი. სოფლებში სოხეთში, კურსებში, ბუეთსა და ხრესილში ადამიანის ჯანმრთელობის საქმეს ემსახურება ბალნეოლოგიური აბაზანები. ახალ სამკურნალო აბაზანებს აგებენ ძიროვნის, საწირისა და ციხია-ბოგოთის კოლმეურნეობები.

მუსიკა მოგზაურობს...

უკანასკნელი წლის საუკეთესო ნაწარმოებებად კრიტიკოსებმა დაასახელეს რესპუბლიკის სახალხო არტისტის **ს. ცინცაძის მეექვსე სიმებიანი კვარტეტი.** 1964 წელს დაწერილმა მეხუთე სიმებიანმა კვარტეტმა კომპოზიტორს საერთაშორისო აღიარება მოუტანა. მას ასრულებდნენ **ჰოლანდიაში, საფრანგეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ჩეხოსლოვაკიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, მსოფლიოს თითქმის უველა ქვეყანაში. იუნესკოს** კონკურსზე პარიზში ეს კვარტეტი გამარჯვებულად ცნეს.

საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის საკონცერტო დარბაზებში დაიწყო სვლა **მეექვსე სიმებიანმა კვარტეტმა. იგი მოითხოვეს ვენიდან.**

საკუთარი თავისადმი ამ განსაკუთრებით მომთხოვნი მუსიკოსის ნაწარმოებნი გვხიბლავენ ამაღლებულობით და გულწრფელი ლირიკულობით, მათ ფილოსოფიური ჩასიათი, მკვეთრი ინტონაცია და რიტმული წყობა ახასიათებთ. ს. ცინცაძის მუსიკალურ ნაწარმოებთა ამ თვისებებმა იგი ჩააყენეს შესანიშნავი საბჭოთა მუსიკოსების რიგებში.

ჩვენმა კორესპონდენტმა სთხოვა კომპოზიტორს გაეზიარებინა თავისი შემოქმედებითი გეგმები:

— ამას წინათ დავამთავრე კონცერტი „ტრიპტიხი", რომელიც შეიცავს კონცერტს ჩელოსათვის, ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის. ამ ნაწარმოებზე ოთხი წელი ვიმუშავე. ორი მათგანი — კონცერტები ჩელოსა და ფორტეპიანოსათვის უკვე შესრულდა. საფორტეპიანო კონცერტი შეასრულეს ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ნ. გაბუნიამ და საქართველოს სიმფონიურმა ორკესტრმა. კონცერტს ვიოლინოსა და ორკესტრისათვის მსმენელები გაეცნობიან ნოემბერში.


ვამთავრებ მუშაობას მესამე სიმფონიაზე. იგი ეძღვნება ჩვენს თანამედროვეობას — აღმშენებელს, მშვენიერების შემოქმედს. სიმფონიის შესრულება გაწყრახულია მომავალ წელს.

კვლავ ვთანამშრომლობ რეჟისორ რეზო ჩხეიძესთან, რომელთანაც მაკავშირებს დიდი შემოქმედებითი მეგობრობა. ახლა ვწერ მუსიკას ფილმისათვის „ეს რა ახალგაზრდობა მოდის!" ეს რ. ჩხეიძის მეხუთე სურათია, რომლებისთვისაც მუსიკა მე დავწერე.

საქართველოს კურორტებზე

მსოფლიოს მრავალი კუთხიდან ჩამოდიან ბორჯომში დამსვენებლები, ტურისტები და ექსკურსანტები. ბორჯომის ხეობის კურორტები ფართოდ არის ცნობილი. ბორჯომის მინერალურმა წყაროებმა მათ სახელი მთელს მსოფლიოში გაუთქვეს. აქ ბევრი დასასვენებელი სახლი, სანატორიუმი, პანსიონატი, პიონერთა ბანაკია. მრავალი საბავშვო ბაღი ზაფხულს ბორჯომში ატარებს.

მთის ჰავა, სამკურნალო წყაროები, კვალიფიციური სამედიცინო მომსახურეობა სასწაულს ახდენს. ავადმყოფები ერთი თვის მკურნალობის და დასვენების შემდეგ სრულიად გაჯანსაღებულნი ბრუნდებიან შინ.



სურათზე: სანატორიუმ „ლიკანის" აეროსოლარიუმში.

მწერლის პირველი რომანი

თამარ დრაგაძე —

„ცეცხლზე შემოდგმულ რძესავით"

„ცეცხლზე შემოდგმულ რძესავით" ახალგაზრდა ინგლისელი მწერლის თამარ დრაგაძის პირველი რომანია. მიუხედავად ავტორის ერთგვარი გამოუცდელობისა, რომანში ოსტატურად არის აღწერილი არაბი და ევროპელი ქალის სულიერი სამყარო, რაც თ. დრაგაძის ნიჭსა და მის მიერ არაბთა ცხოვრების ღრმა ცოდნაზე მიგვითითებს.

„ცეცხლზე შემოდგმულ რძესავით" წმინდა ფსიქოლოგიური რომანია და სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ნაწარმოების მთავარი აქცენტი გმირების განცდებსა და მათი შინაგანი სამყაროს ანალიზზეა გადატანილი. ცხრამეტი წლის არამინტა ტანჟერში მყოფ დას ესტუმრა, რათა „საკუთარი თავი აღმოეჩინა". მან დაინახა, რომ ფაქტიურად არსებობდა ორი ტანჟერი: ევროპელთა და არაბთა. ტანჟერის ევროპელ მოსახლეობას თვითონ არამინტა, მისი და და მათი მეგობრები წარმოადგენდნენ. არაბი მოსახლეობის წარმომადგენელი კი რომანის მეორე ცენტრალური ფიგურა ფატიმაა.

არამინტასა და ფატიმას შორის უხილავი კამათია გაბმული. არამინტას, რომელსაც ცხოვრებაში, ფატიმას აზრით, უველაფერი აქვს, დაუმაყოფილებლობის გრძნობა სტანჯავს. იგი ეძებს და ვერ პოულობს თავის ადგილს ცხოვრებაში. პირველივე სიძნელის დროს არამინტა სულით ეცემა და სერიოზულად ხდება ავად. ფატიმას, პირიქით, ბევრი რამ აკლია, მას ცხრა შვილი ჰყავს, ხოლო ქმარი უმუშევარია. უფროსი ვაჟი იძულებულია გერმანიაში წავიდეს, რადგან მასაც ემუქრება უმუშევრობა. მიუხედავად ამისა, ფატიმა აღსავსეა იმედით და ბედს არ უჩივის, მისი მჩქეფარე ენერგია და დაუშრეტელი ოპტიმიზმი ეხმარება მას გადაიტანოს ყოველგვარი გაჭირვება. რა არის იმის მიზეზი, რომ არამინტა უბედურია, ხოლო ფატიმა კი, რომელსაც ცხოვრება არასოდეს არა სწყალობდა, ბედს არ უჩივის? სად უნდა ვეძებოთ ფატიმას ოპტიმიზმის წყარო?

ფატიმა, როგორც მთელი არაბი ხალხის წარმომადგენელი, დედა-ბუნების ორგანული ნაწილია; ის, ფატიმას რომ ლუკმაპურის შოვნა უჭირს, გამოწვეულია იმ საზოგადოების მანკიერებით, სადაც იგი ცხოვრობს, და არა თვითონ ფატიმას უვარგისობით. ფატიმა მჭიდროდ არის დაკავშირებული თავის ხალხთან, მის ადათ-წესებთანა და ზნე-ჩვეულებებთან. ამიტომაც არის, რომ რამდენჯერაც უნდა უმტყუნოს ბედმა, ფატიმა ფეხზე ახალი ძალ-ღონითა და ენერგიით სავსე დგება. სულ სხვა შემთხვევა გვაქვს არამინტასთან, იგი უველაფრით უზრუნველყოფილია, მაგრამ ეს „უდარდელი" ცხოვრება ნაყოფია ბუნებისაგან, ხალხისაგან სრული მოწყვეტის ფასად. არამინტა თითქოს და მიწისა და ცის შუა გამოკიდებულა. იგი საკმაოდ განათლებულია, რომ დაინახოს თავისი მდგომარეობა. მაგრამ ამავე დროს ისეა გამოფიტული, რომ აღარა აქვს ბრძოლის უნარი. ბურუჟუაზიულმა საზოგადოებამ მას ფული მისცა, სამაგიეროდ სულიერი სიმშვიდე წაართვა.

არამინტა სულ ცხრამეტი წლისაა და უკვე დაღლილია ცხოვრებისაგან, ფატიმა კი, ეს ხანშიშესული ქალი, რომელსაც ბევრი შავი დღე უნახავს, კმაყოფილია იმ მცირედითაც, რასაც მას ბედი არგუნებს. იგი არ წუწუნებს როგორც არამინტა და მისი მეგობრები. ფატიმა წუწუნს მოქმედებას არჩევს. ფატიმაში სწორედ ის არის ფასეული, რომ იგი ბედს ბრმად კი არ ემორჩილება, არამედ ცდილობს თავისი მდგომარეობის გამოსწორებას. ამიტომაც არის, რომ სიცოცხლეზე გულაყრილი არამინტა, რაკი თავის ამხანაგებში ვერ პოულობს დასაყრდენს, ფატიმას მიმართავს საშველად. იგი გაკვირვებული ეკითხება ფატიმას:

ტვინის საიდუმლოება

შესაძლებელია თუ არა დაზიანებული ნერვული ქსოვილის, კერძოდ ტვინის ქერქის აღდგენა? იყოფა თუ არა ნერვული უჯრედები? ეს კითხვები დიდი ხანია იწვევენ მეცნიერთა დავას. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ზოგიერთ მკვლევარს დასაშვებად მიაჩნდა, რომ ნერვული უჯრედები იყოფა და ნერვულ ქსოვილს შეუძლია რეგენერაცია (აღდგენა). მაგრამ მათ დღემდე ვერ შეძლეს ექსპერიმენტულად დამტკიცებინათ ეს დავა გრძელდება.

თუ ტვინის ქსოვილი დაზიანებულია, როგორც დღემდე იყო დადგენილი, იგი ხორცდება, როგორც ჩვეულებრივი ჭრილობა ამასთან ტვინის ნივთიერება, რომელსაც ნერვული უჯრედები შეიცავენ, დეფექტის ადგილზე არ არის.

თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მორფოფიზიოლოგიური ლაბორატორიის ხელმძღვანელმა ირინე მშვენიერაძემ თავისი მრავალი წლის გამოკვლევებით გააბათილა გავრცელებული აზრი.

...ძაღლის ლეკვი სულ 30 დღისა იყო, როცა მას ამოკვეთეს დიდი ნახევარსფეროების ქერქის ნაწილი. წლის განმავლობაში პირუტყვი ნორმალურად იზრდებოდა და ვითარდებოდა. როცა მას თავის ქალა ახადეს, აღმოჩნდა, რომ ტვინის ამოკვეთილი ნაწილი აღმდგარიყო, ხოლო ნაოჭების ხვეულების მდებარეობა რამდენადმე განსხვავდებოდა ნორმალურისაგან.

ოპერაცია 150-ჯერ გაიმეორეს ორი კვირიდან ოთხ თვემდე ასაკის ლეკვებზე. შედეგი იგივე იყო. ამასთან აღდგენა მით უფრო წარმატებით ხდებოდა, რაც უფრო ახალგაზრდა იყო პირუტყვი. საშუალოდ აღდგენა აღწევდა 35-85 პროცენტს. ათ წელზე მეტს ამოწმებდა ი. მეფისაშვილი თავის დაკვირვებებს, სანამ გაბედავდა ეთქვა, რომ

— თავის ტვინის ქერქი და ნერვული უჯრედები ამოკვეთილი ნაწილის ადგილას ახალგაზრდა ცხოველებს აღუდგებათ.

მთელი რიგი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ქერქის დეფექტის შემცირება მისი ნაწილის ამოკვეთის შემდეგ ხდება ტვინის ქსოვილის იმ უბნების ხარჯზე, რომლებიც თავის ტვინის განვითარების პროცესში იზრდება.

ამ აზრის სისწორის შესამოწმებლად, ამბობს მეფისაშვილი, გამოვიანგარიშეთ დაზიანებული და ჯანსაღი დიდი ნახევარსფეროების ნეირონების რიცხვი. სხვადასხვა ნაწილის ქერქში წამოზრდა რომ ნამდვილად ყოფილიყო, ტვინის მეზობელ უბნებში, აგრეთვე აღდგენის ადგილზე შესამჩნევი იქნებოდა ნერვული უჯრედების გამეჩხერება. ჩვენ კი ვერც ერთ შემთხვევაში ვერ აღმოვაჩინეთ ნეირონების რიცხვის შემცირება.

ექსპერიმენტები გრძელდება. ჯერ კიდევ ბევრი საკითხი მოითხოვს გადაწყვეტას: შეიძლება თუ არა დაჩქარდეს აღდგენის პროცესი სხვადასხვა პრეპარატით? აქვთ თუ არა ბავშვებს მოუმწიფებელი ნერვული უჯრედების რეზერვი? თუ აქვთ, მაშინ მეცნიერები მიიღებენ ახალ შესაძლებლობებს ტვინის დაზიანების მკურნალობისათვის.

„შენ ბედნიერი ხარ?“

„დიახ, რატომ არ უნდა ვიყო?“ — უპასუხებს ფატიმა.

„განა შენმა დამ რამე მოგცა?“ — ისევ ჩაეკითხება არამინტა.

„არა, მაგრამ მე ვიცი, რომ ყველაფერი ღვთის ხელთ არის. ამიტომ ბედნიერი ვარ, თუმცა არც პური მაქვს და არც ხორცი. აი ხვალ, თუ ღმერთი ინებებს, პურიც მექნება და ხორციც“.

როცა არამინტა ავად გახდა, არც ერთი ამხანაგი არ მოსულა მის სანახავად. ფატიმამ კი რომელსაც თავისი საქმეც ბევრი ჰქონდა, მოიცალა და მთელ დღეებს ატარებდა არამინტას გვერდით. „ჩემი ქალბატონის და ავად არის, მთელი დღეა ლოგინში წევს... ჩემი ბავშვები არ არიან ავად და მათ ჰყავთ მშობლები, ამიტომ დღეს ჩემი პატრონის დასთან დავრჩები და გავართობ მას, სანამ საღამო მოვა“.

უბრალო არაბი ქალის ერთგულება და ადამიანობა მკითხველის სიმპათიებს იწვევს და სავსებით გასაგებია, რომ არამინტა სულ უფრო და უფრო დიდი ინტერესით ეპყრობა მას. „ფატიმა დედას მაგონებს“, ამბობს იგი. არამინტა ნამდვილად ბედნიერი იყო მაშინ, როცა ფატიმას ესტუმრა. ფატიმას სახლში არამინტა ბევრად უფრო თავისუფლად არის, ვიდრე თავის ევროპელ ნაცნობებთან. ამრიგად, მკითხველი გრძნობს, რომ ფატიმას ოპტიმიზმი და ენერგია ძალ-ღონეს შემატებს იმედგაცრუებულ არამინტას. ფატიმას მთელი ცხოვრება მისი ღრმა ადამიანობის დამამტკიცებელია და ამიტომაც არის, რომ სწორედ მისი სტატუები — „მაღალ ღმერთს ვფიცავ, ყოველ ადამიანს ცეცხლზე შემოდგმულ რძესავით უნდა გაუფრთხილდეთ“, რომანს ეპიგრაფად აქვს დართული. არამინტას და ფატიმას სულიერ სამყაროს თ. დრაგაძე დიდი ოსტატობით ხატავს, მაგრამ ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ აქ ავტორის ინტერესები ვიწრო ოჯახური და ინტიმური გარემოთია შემოფარგლული, რაც რომანის ცალმხრივობასა და შეზღუდულობას იწვევს. ეს ნათლად ჩანს ფატიმას სიტუვებიდან, როდესაც მას ადამიანური ბედნიერება ოჯახურ სიმყუდროემდე დაჰყავს და, რაც მთავარია, ამ დასკვნამდე თვით არამინტაც მიდის.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, რომანის უდავო დამსახურებაა, რომ თ. დრაგაძე აღწერს ტანჯვის სინამდვილეს არა როგორც ტრადიციული ეგზოტიკურ-კოლონიური ინტერესების მქონე ინგლისელი, არამედ როგორც არაბი ხალხის ზნე-ჩვეულებათა კარგი მცოდნე. მწერალი ქალი არა მარტო დიდი სიმპათიით არის გამსჭვალული არაბთა მიმართ, არამედ კარგადაც იცნობს მათ სულიერ სამყაროს. რომანი მდიდარია არაბულ ზნე-ჩვეულებათა აღწერითა და ხალხური თქმულებებით. ცოცხლად და საინტერესოდ არის წარმოდგენილი არაბთა ტრადიციული დღესასწაულები და ადათები. „ძველ დროს“, — ჰყვება ფატმა, — „უშვილო ქალების ქმრებს თავიანთი ცოლები ჰერკულესის გამოქვაბულებში მიჰყავდათ. იქ ლოდებიდან წყალი გადმოსჩქეფს და მდინარეს ერთვის. ქალებს წყალში ყრიდნენ: თუ ვერ შეძლებდნენ წყლიდან ამოსვლას, მაშასადამე, ეს ღმერთის სურვილი იყო, ხოლო თუ მოახერხებდნენ გამოცურვას, მათ აუცილებლად შეეძინებოდათ შვილი, ამიტომ ასეთი ცოლ-ქმარი ბედნიერი ბრუნდებოდა სახლში. ეს ხდებოდა წარსულში, დღეს კი ეს ადათი აკრძალულია“.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, „ცეცხლზე შემოდგმულ რძესავით“ ფსიქოლოგიური რომანია და თ. დრაგაძე ამა თუ იმ გმირის განცდათა გამოსახატავად ნაწილობრივ ე. წ. „ცნობიერების ნაკადის“ ელემენტებს მიმართავს. მისი გმირები კი არ მოქმედებენ, არამედ მსჯელობენ და ფიქრობენ უკვე მომხდარზე. მოქმედება, როგორც ასეთი, არ არის დამახასიათებელი რომანისათვის და თუ სადმე ხდება კიდეც რაიმე, ჩვენ ამის შესახებ გმირების რეაქციიდან ვიგებთ. ამ შემთხვევაში მოქმედება გარეშე გამღიზიანებლის როლს ასრულებს, რომელიც ამა თუ იმ ასოციაციას გამოიწვევს გმირში და დაგვეხმარება მისი სულიერი სამყაროს გაგებაში. მწერალი ზოგჯერ იყენებს შინაგან მონოლოგს, ერთმანეთთან სუსტად დაკავშირებულ ასოციაციებს და სხვ.

ავტორის სიახლოვე არაბ ხალხთან და მისი ცხოვრებისა და ენის თავისებურებათა კარგი ცოდნა რომანის ენასაც ეტყობა. ნაწარმოები დაწერილია თანამედროვე რომანისტიკის ესთეტიკურ მოთხოვნათა დონეზე, რაც, სხვათა შორის, აღნიშნულია ამ რომანზე გამოქვეყნებულ ერთ-ერთ რეცენზიაში, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ტაიმსის“ ლიტერატურული დამატების 1965 წ. 9 სექტემბრის ნომერში. არამინტას ენა, მაგალითად, მკვეთრად გამოირჩევა ფატმას მეტყველებისაგან. თუ არამინტა სწორ და გამართულ ინგლისურს ფლობს, ფატმას მეტყველებაში არაბული აქცენტი აშკარად საგრძნობია, რაც გამოხატულია წინადადებების თავისებური აგებით, და არაბული ენისა და ყოფიდან აღებული ელემენტებით. ეს განსხვავება უფრო მკვეთრად ჩანს იმის გამო, რომ რომანი დაწერილია ორი მხრივ: არამინტასა და ფატმას შინაგანი მონოლოგების სახით. ლაპარაკობს არამინტა და ყოველი მისი წინადადება მასვე გვახასიათებს, ჩვენ ვგრძნობთ, რომ ეს გოგონა ინგლისური საზოგადოების მდიდარ ინტელიგენციას ეკუთვნის, მის მეტყველებაში არსად არ გვხვდება ვულგარიზმები, კოლოკვიალიზმები და არც მაღალფარდოვანი გამოთქმები. არამინტას ენა მარტივი და დახვეწილია. მის მეტყველებას უაღრესი აღგზნების დროსაც კი შინაგანი პასიროობა ახასიათებს, რაც არამინტას ხასიათის ერთ-ერთ თვისებაზე მიგვითითებს.

ამავე დროს, ფატმას ლაპარაკს აშკარა აღმოსავლური ელფერი დაჰკრავს. თუნდაც არ ვიცოდეთ, რომ ფატმა არაბია, მისი ლაპარაკის მანერა გამოამჟღავნებს ამას. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ფატიმასა და ევროპელთა მეტყველების ამ თავისებურებებს მწერალი პრიმიტიული კონტრასტული სურათის დასახატავად კი არ იყენებს, არამედ ამ საშუალებით გადმოსცემს თვით გმირთა ცხოვრების თავისებურ რიტმსა და განწყობილებას. ფატმას ენა მდიდარია წმინდა აღმოსავლური კოლორიტით. მისი წინადადებები მრავალფეროვანი შედარებებით არის სავსე. როცა ფატმა არამინტას ეპატიუება, იგი ამბობს: „მობრძანდი, და ჩვენი სახლი განათდება, ხოლო ჩვენს გულში სიხარული დაისადგურებს, და შენი ცქერით თვალები ჩვენი დამშვენდებიან“. ფატმა არასოდეს არ ეძახის არამინტას სახელს, როდესაც არამინტას შესახებ ლაპარაკობს, ყოველთვის ამბობს: „ჩემი ქალბატონის და“. ეს გამოთქმაც დამახასიათებელია არაბული ენისათვის. ფატმას მეტყველება რიჩატატივს მოგვაგონებს, სადაც მისამღერივით მეორდება: „მაღალ ღმერთს ვფიცავ“. „დიდმა ალაჰმა იცის ყოველივე, რაც ხდება“. გმირთა ენობრივი თავისებურება აცოცხლებს წიგნს და მკითხველი ნათლად ხედავს არამინტასაც, ფატმასაც და მთელ ტანჯერსაც. ეს კი ახალგაზრდა მწერლის უდავო დამსახურებაა.

ორიოდე სიტყვა წიგნის სათაურის შესახებ „ბალღს ცეცხლზე შემოდგმულ რძესავით უნდა თვალის მიდევნება“ ნათქვამია არაბულ ანდაზაში, ფატიმამ კი დასძინა „არა მარტო ბალღს, არამედ ყველა ადამიანს უნდა თვალის მიდევნება ცეცხლზე შემოდგმულ რძესავით“. ადამიანი ფაქიზი არსებაა, გაუფრთხილდით მას ცეცხლზე შემოდგმულ რძესავით, თორემ შეიძლება სამუდამოდ დაკარგოთ იგი, და სულ მარტო დარჩეთ, — გვაფრთხილებს ავტორი.

„ცეცხლზე შემოდგმულ რძესავით“ იმ მხრივაც საინტერესოა, რომ მასში აირეკლა თანამედროვე ინგლისის პოლიტიკური მდგომარეობა. თუ წინათ დიდი ბრიტანეთი მსოფლიოს უდიდესი კოლონიური სახელმწიფო იყო, დღეს იგი, როგორც ამას პალმ დატი აღნიშნავს, „იმპერიალისტური სისტემის წინააღმდეგობათა ბუდეს წარმოადგენს“.

კოლონიალიზმის პრობლემა დიდი ბრიტანეთისათვის უველაზე აქტუალურ პრობლემად გადაიქცა. თუ საუკუნის დასაწყისში იმპერიალიზმის იდეების მომღერლად რეჯიარდ კიპლინგი გამოდიოდა, ხოლო ინგლისელი მოსწავლეები ზეპირად სწავლობდნენ ლექსებს „თეთრი ადამიანის ტვირთის“ შესახებ, საუკუნის მეორე ნახევარში მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. „დღეს, — წერს პალმ დატი, — ბრიტანეთის უოველი მკვიდრი გრძნობს, რომ ძველი დრო წავიდა, რომ დიდი ბრიტანეთი ის აღარ არის, რაც წინათ იყო, აღმოცენდა ახალი პრობლემები. დაკავშირებული ინგლისის მოსახლეობის არსებობასთან“. ამიტომაც არის, რომ კოლონიური თემატიკისადმი მიძღვნილი რომანებისა და ნოველების რიცხვი ამ უკანასკნელ წლებში აშკარად გაიზარდა. დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო მდგომარეობის შეცვლასთან ერთად შეიცვალა ინგლისელი მწერლების შეხედულებაც კოლონიალიზმზე. ამ მხრივ საგულისხმოა, რომ ინგლისელი მწერლები ილაშქრებენ არა მარტო ინგლისური კოლონიალიზმის წინააღმდეგ, არამედ საერთოდ მსოფლიო კოლონიალისტური სისტემის წინააღმდეგ. ასეთი რომანების რიცხვს მიეკუთვნება, მაგალითად, დორის ლესინგის „ბალახი მღერის“, „შიმშილი“. არაბული აღმოსავლეთის ცხოვრებასა და არაბთა ბრძოლის აღწერას მიუძღვნა ბეზილ დევიდსონმაც თავისი რამდენიმე რომანი.

ეს ნაწარმოებები მძაფრი გალაშქრებაა კოლონიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ. როგორც უკვე ზემოთ აღნიშნა, თ. დრაგაძის რომანი ვიწრო ინტიმური და ოჯახური ინტერესებით იფარგლება, და ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ მასზე, როგორც ანტიკოლონიურ რომანზე. მიუხედავად ამისა, ავტორისეულმა დამოკიდებულებამ მთავარი გმირებისადმი და მისმა მიდგომამ არაბთა საკითხისადმი გამოამჟღავნა დიდი ბრიტანეთის პოლიტიკური მდგომარეობა და ის ტენდენციები, რომლებიც დამახასიათებელია თანამედროვე ინგლისური მწერლობისათვის. ის ფაქტი, რომ ფატიმა ზოგ შემთხვევაში არამინტაზე მაღლა დგას და რომ იგი გამოყენებულია არა როგორც უსულო მანქანა, რომელიც ბატონის ბრძანებას ბრმად ასრულებს, არამედ როგორც მეტად საინტერესო სულიერი სამყაროს მქონე ინდივიდი, მიგვითითებს იმაზე, რომ ავტორი გულგრილია ე. წ. კოლონიური თემატიკისადმი და აფრიკული გარემო მისთვის უწინარეს ყოვლისა ზოგადადამიანური პრობლემებისა და ურთიერთობათა გამოსახატავად არის საინტერესო.

ეთერ სულაძე.

წიგნის თარო

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“

გალაკტიონ ტაბიძე — ტომი VI. ლექსები. გამომცემლობის რედაქტორი — ნ. ინასარიძე, მხატვარი — ლ. გრიგოლია. 600 გვ.

იონა მეუნარგია — ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა. (მონოგრაფია). რედაქტორი — გ. აბაშიძე, მხატვარი — ლ. გრიგოლია. 10.000 ეგზ. 94 გვ.

ნიკო ყიასაშვილი — შექსპირის სამყაროში. რედაქტორი — ქ. თავაძე, მხატვრები — ო. ქოჩაკიძე, ა. სლოვინსკი, ი. ჩიკვაიძე. 152 გვ.

კლავდია დევდარიანი — სიჭაბუკე პოეტისა. რედაქტორი — ქ. თავაძე, მხატვარი — ვლ. ალიმბარაშვილი. 238 გვ. 5.000 ეგზ.

გ. ნანიტაშვილი — საქართველოს თერმული წყლები. რედაქტორი — ც. უხდელაშვილი, მხატვარი — ტ. შეყილაძე. 145 გვ.

გ. ბუაჩიძე — გაუტკივარება გადაუდებელი ქირურგიული ჩარევის დროს. რედაქტორი — ნ. დოლიძე, მხატვარი — გ. ავსაჯანიშვილი. 78 გვ.

ვ. ალადაშვილი — მწვავე მოშხამვების, ალერგიული რეაქციებისა და წამლისმიერი დაავადების დიაგნოსტიკა და მკურნალობა. რედაქტორი — მ. მეწარმიშვილი, მხატვარი — ო. ვარვარიძე. 236 გვ.

პ. ღვამიჩავა — ავთვისებიანი სიმსივნეების კლინიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა. საზოგადოებრივი რედაქტორი — კ. ერისთავი, მხატვარი — ა. შავიანიძე. 480 გვ.

გურამ გვერდწითელი — ლიტერატურული პორტრეტები, ესკიზები, წერილები. რედაქტორი — ლ. ფოფხაძე. მხატვარი — მ. ჯაბუა. 352 გვ.

გამომცემლობა „მერანი“

ალიო მირცხულავა — ასი ლექსი. (ლექსები). რედაქტორი — ა. ადამია, მხატვარი — ლ. გრიგოლია. 106 გვ.

რიონი. ქუთაისში მცხოვრები მწერლების მხატვრულ ნაწარმოებთა კრებული. რედაქტორები დ. კვირკვარიძე, ა. სულაკაური, მხატვარი — ვ. მელიქიშვილი. 210 გვ. 2.000 ეგზ. 51 კაპ.

შუშუ დგებუაძე-შულარია — ოქროს ბეჭედი (რომანი), ქართველი მოღვაწე ქალები (ნარკვევი) და მოგონებები. რედაქტორები — ლ. სულაბერიძე, მ. ქოიავა, მხატვარი — ო. ჯიმშარიანი. 824 გვ.

შოთა ბადრიძე — ქართველმოცოდნეობის გამოჩენილი მოჭირნახულე ალექსანდრე ხახანაშვილი. რედაქტორი — აკ. გაწერელია, მხატვარი — ვ. მდივნარაძე. 78 გვ. 3.000 ეგზ. 29 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული“

ნიკოლოზ ბარათაშვილი — ლირიკა. რედაქტორი — ლ. ქადაგიშვილი, მხატვარი — ო. ჯიმშარიანი. 70 გვ.

ოთარ ჭელიძე — ორი მარაბდელი. (პოემა). რედაქტორი — ა. ბრეგაძე, მხატვარი — ვ. მელიქიშვილი. 44 გვ.

გამომცემლობა „მეცნიერება“

ნიკოლოზ ბარათაშვილი. (საიუბილეო კრებული). რედაქტორი — გ. ასათიანი, მხატვარი — ა. ჩხაიძე. 285 გვ.

ბაიოზ იმედაშვილი — ვეფხისტყაოსანი და ქართული კულტურა. რედაქტორი — ც. კახაბრიშვილი, მხატვარი — გ. ნადირაძე. 429 გვ.

კორნელი კეკელიძე — ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. X ტომი. შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა სოლომონ ყუბანეიშვილმა. 311 გვ.

ნოდარ შენგელია — სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში. რედაქტორი — რ. კიკნაძე, მხატვარი — ვ. ხმალაძე. 437 გვ.

რედაქციისაგან:

ჩვენო ძვირფასო მეგობრებო, ჩვენო თანამშრომულენო! თუ რომელიმე წიგნი თქვენთვის საინტერესოა, გჭირდებათ, მოგვწერეთ და სიამოვნებით გამოგიგზავნით. მომავალ ნომერშიც განყოფილება „წიგნის თარო“ თქვენ გაგაცნობთ საქართველოში დაბეჭდილ ახალ წიგნებს.

ნორჩი სტუმრები იტალიიდან

გათშმი. როგორც ძვირფას და სასურველ სტუმრებს ისე შეხვდა მზიური აჭარა იტალიელ ბავშვებს — სიცილიის კუნძულის მცხოვრებთ, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინათ თავს დაატყდა ძლიერი მიწისძვრა. 70 ნორჩი სტუმარი — ძირითადად ქალაქ პალერმოს მცხოვრები ჩამოვიდა საქართველოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოწვევით. იტალიელ ბავშვთა ნაწილი მოათავსეს სამავშვო სანატორიუმ „ოქროს ნაპირში“, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ გადაეცა საექსპლოატაციოდ ქობულეთის საკურორტო ზონაში, დანარჩენები — მწვანე კონცხის სანატორიუმში. ჩვეულებრივი სახურავის ნაცვლად სანატორიუმის შენობას ბრტყელი სახურავი აქვს. ბავშვები აქ იღებენ ჰაერისა და მზის აბაზანებს.

...ავტორმა გააკეთა ორიგინალური დასკვნები, რომლებიც მნიშვნელოვან წვლილს წარმოადგენენ მედიცინის მეცნიერებისა და ჯანმრთელობის დაცვის პრაქტიკაში.

...შეჭველია, ავტორი ძალიან ნიჭიერი მუსიკოსია და ბევრი რამ მის კონცერტში წარმტაცია. ასეთი ნიჭის კომპოზიტორი უდავოა. მომავალშიც შექმნის ჩინებულ ნაწარმოებებს.

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გ. მარუაშვილისა და კომპოზიტორ ვ. იუროვსკის ეს სიტყვები ეკუთვნის ერთ კაცს — მეცნიერ მედიკს და კომპოზიტორს ტარიელ ბაქრაძეს.

ამას წინათ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ ერთხმად მიანიჭა ტ. ბაქრაძეს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი შრომისათვის „მალარიის ეპიდემიოლოგია მისი ლიკვიდაციისა და

ექიმის ათი ფესტივალური პრელიუდია

მიღწეულ წარმატებათა შენარჩუნების პერიოდში საქართველოს სსრ რესპუბლიკაში“. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეპიდემიოლოგიის განყოფილების გამგემ ტ. ბაქრაძემ მალარიასთან ბრძოლას ოც წელზე მეტი მოანდომა. იგი ავტორია ორმოცი მეცნიერული შრომისა, რომლებიც აშუქებენ ამ მძიმე სნეულებასთან ბრძოლის სხვადასხვა ასპექტს.

მედიკოსის მეცნიერული დამსახურების აღიარება დაემთხვა მისი მუსიკალური შემოქმედების მაღალ შეფასებას. საგაზაფხულო რესპუბლიკურ კონკურსზე ტ. ბაქრაძის სიმღერა „ყველგან ჰყვავის ყვავილები“ დასახელებულია საუკეთესოთა შორის. ეს მისი მეათე პრემიაა მუსიკალური ნაწარმოებებისათვის. ჯილდო მიიღეს აგრეთვე საცეკვაომ ვიოლინოსათვის, პიესებმა „ფანტაზია“ და „პოემამ“ ფორტეპიანოსათვის, მთელმა რიგმა კამერულ-საინსტრუმენტო ნაწარმოებებმა.

თავისი პირველი სიმღერა რომ დაწერა, ტარიელი 13 წლის მოსწავლე იყო. თავისი პირველი მუსიკალური პრემია მიიღო ჯერ კიდევ კონსერვატორიაში სწავლის დროს. მან ადრე ისწავლა ფორტეპიანოს დაკვრა. ყველა წარმატებას უქადდა ბიჭუნას ამ სარბიელზე. მან კი უცბად მიატოვა მუსიკალური ათწლედი, ფრიადზე დაამთავრა საშუალო სკოლა და შევიდა სამედიცინო ინსტიტუტში.

...ტარიელი მთავარ ექიმად მუშაობს სამხრეთ ოსეთის მალარიის საწინააღმდეგო საოლქო სადგურში, ეწევა მეცნიერულ კვლევას, თითქოს მუსიკა დავიწყებულია. მაგრამ მან კვლავ გაახსენა თავი. მას თან სდევდა მელოდიები, რომელთა ჩაწერა არ იცოდა.

და აი მეცნიერი თანამშრომელი, გამოცდილი ექიმი — მალარიოლოგი სწავლობს მუსიკის თეორიას, ექსტერნად აბარებს მუსიკალური სკოლის კურსს, შედის კონსერვატორიაში და ამთავრებს. მისი რომანსის პირველი შემსრულებელი იყო თანაკურსელი მედეა ამირანაშვილი.

კომპოზიტორთა კავშირის წევრმა ტ. ბაქრაძემ შექმნა ასზე მეტი მუსიკალური ნაწარმოები, ორატორიები, სიმფონიები, სვიოლინო და საფორტეპიანო კონცერტები, რომანსები, სიმღერები.

45 წლის მედიკი და კომპოზიტორი შემოქმედებითი აღმავლობის ხანაშია. კითხვაზე, რა გეგმები აქვს მას, ტარიელმა გვიპასუხა:

— გამოსაცემად ვამზადებ მონოგრაფიას მალარიასთან ბრძოლის საკითხებზე. ამავე დროს ვამთავრებ ახალ მუსიკალურ ნაწარმოებს — კონცერტს ვიოლინოსა და ორკესტრისათვის.

80 წელი ზღვაში...

ნაპირებთან ლურჯი და ჰორიზონტზე ცისფერი ზღვა, ისევე, როგორც 80 წლის წინათ, დღესაც უხმობს მოხუც ძებადურს **იან კისდის.** სულ თორმეტი წლისა იყო იანი, როცა მარტოდმარტო დარჩა ზღვასთან. ლუკმაპურის ძებნაში მუშაობდა ჯერ აზოვის ზღვაზე, შემდეგ გავიდა შავ ზღვაზე, თევზით სავსე ხაები მიჰყავდა ოდესაში, იალტაში, ფეოდოსიაში... ჭაბუკის ძნელი შრომით მდიდრდებოდნენ ხარბი გადამყიდველები.

60 წლის წინათ მოადგა იგი თავისი გაცვეთილი ნავით საქართველოს ნაპირებს და ღუზა ჩაუშვა გაგრის ყურეში. ასე დამკვიდრდა აქ შრომისმოყვარე იანი...

მას შემდეგ არ დაუტოვებია ზღვა. იანმა კარგად იცის თევზების ჩვევები და ნეპტუნის მკაცრი ზნეჩვეულება, იგი შეუცდომლად განსაზღვრავს თევზის თავმოყრის ადგილს, მის ოდენობასა და შიმართულებას, ისე ჩაადგება ბადეს, რომ ნადავლი უხვი იყოს.


მთელ სიცოცხლეს ასწავლიდა მოხუცი მებადური თავის პროფესიას ახალგაზრდებს. მისი ყოფილი მოწაფეები თევზს იჭერენ ატლანტისა და წყნარ ოკეანეში, დაჰყავთ სეინერები კასპიისა და შავ ზღვებში. იგი ახლა 92 წლისაა და აქედან 80 წელი ზღვაში გაატარა.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმი სკოლაში

მარნეული. სოფელ თამარისის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა მოაწყვეს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

მუზეუმის მოწყობაში მათ დაეხმარა ისტორიის მასწავლებელი ჯ. მემარნიშვილი.

მოსწავლეებმა შექმნეს სპეციალური ალბომი „ჩვენი სოფელი“, სადაც ნახავთ სკოლის სურათებსა და ისტორიას, აქვეა ხანდაზმული ადამიანებისაგან მოსმენილი ლეგენდები და თქმულებები სოფელ თამარისის წარსულზე. თაროებზე განლაგებულია ძველი ნივთები, მონეტები, რკინის იარაღები, რომლებიც სოფლის მიდამოებში იპოვეს.



ზემო სვანეთის გზაზე.

„სამშობლოს ხმის“ ინტერვიუ

ამსტერდამში, კონგრესზე

ამას წინათ ამსტერდამში დამთავრდა ევროპის ოფტალმოლოგთა III კონგრესი. მის მუშაობაში მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის თვალსაჩინო მეცნიერთა ჯგუფი.

პროფესორ ჯ. ანთელავას მოხსენებამ **„ბადურას მორფოლოგიური ცვლილებები თვალის ბლაგვი ტრამვის დროს“** კონგრესში მონაწილეთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ექსპერიმენტულმა გამოკვლევებმა, რომლებიც მეცნიერმა განახორციელა უახლესი ჰისტოქიმიური მეთოდებით, საშუალება მისცა მას ორიგინალურად აეხსნა ბიოქიმიური ძვრები ბადურაში. ეს საშუალებას იძლევა ახლებურად მივუდგეთ თვალის დაზიანების დიაგნოსტიკასა და მკურნალობას. კონგრესის დამთავრების შემდეგ მრგვალ მაგიდასთან მოეწყო დისკუსიები, რომლებშიც ქართველმა მედიკმა აქტიური მონაწილეობა მიიღო.

გაზეთ „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტთან საუბარში პროფესორმა **ჯ. ანთელავამ** თქვა:

— **მეცნიერთა ფორუმი ამსტერდამში მიეძღვნა თვალის ტრავმატოლოგიას, ფიზიკურ და ქიმიურ პროფესიულ დაზიანებებს, მათ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას. მოხსენებათა მეტი ნაწილი ეხებოდა იმ ადამიანთა შრომითს მოწყობას, რომლებსაც სერიოზულად აქვთ დაზიანებული თვალი. მომხსენებლებმა აღნიშნეს დიდი მუშაობა, რაც ამ მხრივ სრულდება საბჭოთა კავშირში.**

ჩვენ გავეცანით თვალის ბუდის ტრავმატოლოგიურ დაზიანებათა ქირურგიული მკურნალობის საინტერესო მონაცემებს. მოხსენებებში აღინიშნა ის, თუ როგორ იყენებენ სინთეზურ პლასტიკურ მასალებსა და თვით ავადმყოფის ძვლის ქსოვილებს თვალის ოპერაციების დროს. მეცნიერებმა გამოიყენეს სინათლის ენერგია თვალის ბადურის ზოგიერთი დაავადების მკურნალობისათვის. კონგრესის მონაწილეებმა ნახეს მრავალი ფილმი, რომლებშიც ნაჩვენები იყო ხელოვნური ბროლის გადანერგვის უახლესი მეთოდები, ოპერაციები რქოვანაზე, რომელთა მიზანია თვალის გარდამტეხი ძალის შეცვლა. ამრიგად, ძალიან ბევრ ადამიანსაც კი შეიძლება დაუბრუნდეს ნორმალური მხედველობა.

საგულისხმოა, რომ კონგრესზე არც ერთი საზღვარგარეთელი მეცნიერი არ შეხებია თვალის ტრავმატიზმის პროფილაქტიკის ღონისძიებებს, რომლებსაც ფართოდ იყენებენ ჩვენს ქვეყანაში. ერთადერთი მოხსენება ამ თემაზე გააკეთა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ვ. არხანგელსკიმ.

ჰოლანდიელები დიდ პატივს სცემენ ქართველ მეომართა ხსოვნას, რომლებმაც ტექსელის კუნძულზე მოაწყვეს აჯანყება გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. ვისაც კი შევხვდით ჰოლანდიაში, ყველა აღტაცებით გვიამბობდა ტექსელის გმირებზე.

ქუთაისის ამბები

დიდი მოთხოვნა ქუთაისურ გობელენებზე

ქუთაისის ბამბეულის ფაბრიკის კოლექტივმა უკანასკნელ ხანს მკვეთრად გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი. ამიტომ არის, რომ ქუთაისურ გობელენებზე მოთხოვნა სულ უფრო დიდდება. მიუხედავად იმისა, რომ გასულ წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გადიდდა გობელენების გამოშვება, ფაბრიკა მაინც ვერ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას.

ამასთან დაკავშირებით გადაწყდა, რომ გაიზარდოს ფაბრიკის საწარმოო ფართობი და პროდუქციის გამოშვება. ახლანდელთან შედარებით 1970 წლის ბოლოსათვის ფაბრიკამ უნდა გამოუშვას 2,5-ჯერ მეტი პროდუქცია. მწყობრში ჩადგება ახალი კორპუსი, რომელშიც საქსოვი საამქრო მოთავსდება, აქ დამონტაჟდება 250 დიდმწარმოებლური ავტომატური საქსოვი დაზგა, ახლანდელ საქსოვ საამქროში კი მოეწყობა მოსამზადებელი და სამღებრო საამქროები.

ახალი ელექტროცენტრიდანული ტუმბო

ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივმა საწარმოებში სახელმწიფო გამოცდისათვის გაგზავნა ახლად ათვისებული ელექტროცენტრიდანული ტუმბოების პირველი პარტია.

აღნიშნული ტუმბო ჯერ კიდევ შარშან დააპროექტა მოსკოვის უშტანგო ტუმბოების სპეციალურმა საკონსტრუქტორო ბიუროს კოლექტივმა და სერიული წარმოებისათვის გაუგზავნა ქუთაისის ელექტრომექანიკურ ქარხანას. ახალი ტიპის ელექტროცენტრიდანული ტუმბო საკმაოდ მძლავრია. მას შეუძლია დღე-ღამეში ამოტუმბოს 160 კუბური მეტრი ნავთობი. გაზრდილია ტუმბოს ხანგამძლეობა და მარგი ქმედების კოეფიციენტი.

ქარხანა წლის ბოლომდე გამოუშვებს 50 ცალ ასეთ ტუმბოს.

ზვრებიც ელიან



საშუალო ტანის, მოყვანილი, სწორი ქართული ცხვირით და კოხტა ქოჩრიანი ყმაწვილი თვალს არ აშორებდა თავდახრილ დედოფალს, რომელიც მოსცხვად იჯდა მის გვერდით.

მეზობელ-ნათესავებმა ანაგური ღვინით შესვეს მათი სადღეგრძელო და შაქარყინულივით ტკბილად შებერება უსურვეს...

ეს იყო 1941 წლის 16 მარტს. **ვასილ ნიკოლოზის-ძე ჯანიაშვილს** მაშინ 25 წელი შეუსრულდა. საყვარელი ადამიანის გვერდში ამოდგომამ ფრთები შეასხა ვაჟკაცს, შრომის სურვილი გაუორკეცა.

სიზმარივით გაიქროლა სამმა თვემ. 1941 წლის 22 ივნისი...

ვასილს იმ ხანად ცხენისაგან ჰქონდა ფეხი დაზიანებული და ამიტომ პირველი გაწვევიდან დროებით უკან დააბრუნეს.

9 სექტემბერი. დამშვიდობებისას დადუმებულმა ვასილმა მეუღლეს ფაქიზად დაუკოცნა აცრემლებული თვალები. ისინი უსიტყვოდ გაშორდნენ ერთმანეთს.

მალე ვ. ჯანიაშვილი თავისი ოცეულით კავკასიის ფრონტზე გაიგზავნა. ვასომ წერილებს უხშირა, რაც უფრო შორს იყო საქართველოდან, მით უფრო აწუხებდა ოჯახისა და მეუღლის დარდი. ერთ-ერთ ბარათში ის თამარს სთხოვდა, რომ ფეხზე დამდგარს გადაეღო სურათი და გაეგზავნა მისთვის. თამარი ვერ ბედავდა მეუღლის განზრახვას. ეუხერხულებოდა შვიდი თვის ორსულ ქალს ფეხზემდგარს სურათის გადაღება. ვაი, რომ ვასოს სურვილი იყო, თორემ ამას როგორ იზამდა...

ჩვენს წინაა ყამთასვლისაგან გაყვითლებული ჯარისკაცის სამკუთხა ბარათები. მათი დიდი უმეტესობა სანგრებში ფანქრით არის დაწერილი. თამარს ისინი გულდაგულ აქვს შეფუთული და ფაქიზად დალაგებული. წერილებიდან გამოირჩევა ღია საფოსტო ბარათი, რომლის წითელ ფონზე გამოსახულია ამაყად მდგარი გმირი საბჭოთა ჯარისკაცი. „ჩემო თამარ, — ვკითხულობთ წერილში, — **გილოცავ ახალ წელს, დაე 1942 ყოფილიყოს ფაშისტური გერმანიის განადგურების წელი, წელი გამარჯვებისა და სიხარულისა, ჩვენი კვლავ ერთად შეყრისა...** მოლოცვას სანგრიდან გიგზავნი. წინ დიდი ბრძოლები მელის. მიზნად მაქვს დასახული სამშობლოში გმირის ვარსკვლავით დაბრუნება. შენი ვასო 31 — 12-41 წ.“

* * *

...დაღამდა. სროლის ხმა მიყუჩდა. სანგარში ჩათიანი კაცი გამოჩნდა. ჯარისკაცები ფეხზე წამოცვივდნენ. ბევრის გულმა გაიხარა.

— ჯანიაშვილი; — განაგრძობდა ფოსტალიონი.

— ვასო, ბიჭებო, „კახელი ვასოს“ წერილია, — დაიძახა მისმა ფრონტელმა ძმადნაფიცმა შაშო მჭედლიძემ.

ვასილი საგუშაგოზე იყო, სასწრაფოდ მოსძებნეს და წერილი ჩააბარეს. **ჩემო ვასო, მარტის 26-ში ქალიშვილი შეგვეძინა — მზია. ნეტავ ერთხელ მაინც შეგახედა პაწაწინასათვის... კოცნას გიგზავნის ჩვენი მზია“.** — წერილი მთლიანად თამარის ცრემლებით იყო გაჟღენთილი.

შემდეგ ვ. ჯანიაშვილმა დიდი ბრძოლა გამოიარა ქერჩში. 7-დან 14 მაისამდე დღითა და ღამით მტრის საარტილერიო და საჰაერო შემოტევას იგერიებდნენ. ბევრი დაეცა ბრძოლის ველზე. თავის არეში მძიმედ დაიჭრა შაშო მჭედლიძეც...

აი ვასილის ბოლო წერილი: **„სალამი თამარს და მზიას. ძალიან მენატრებით. რა დღე იქნება თქვენ რომ დაგინახავთ... მძიმე ბრძოლის შემდეგ დავტოვეთ სლავინსკი და ვიმყოფებით ქალაქ №-ში მე ჯანმრთელად ვარ. ჩემო თამარ, გამაგებინე ჩემი ძმა გიგო სად არის ჯარში. ვენახის შესახებაც მაცოდინე, ნეტა რა ასხია. დამიკოცნე მამისაგან უნახავი მზია.**

ჩემი მისამართია: მოქმედი არმია, 701 საველე ფოსტა, 818 **მსროლელი პოლკი, სატრანსპორტო როტა. ჯანიაშვილი ვ. ნ. 10-7-42 წ.“**

ეს არის და ეს. ამის შემდეგ თამარს აღარავითარი ცნობა არ მიუღია ვასილისაგან. უგზო-უკვლოდ დაიკარგა ვაჟკაცი...

* * *

მიყუჩებული მიდამო ზარის წკრიალმა აახმაურა. ჩანთაგადაკიდებული ბავშვები სირბილით გამოცვივდნენ დერეფანში. **მზია მასწავლებელი** ჩქარი ნაბიჯით შევიდა სამასწავლებლოში, საკლასო ჟურნალი ადგილზე დადო და შინისაკენ გაეშურა.

— ჩემი დედიკო მოდის, — შესძახა პატარამ, თამარ ბებიას ხელიდან გაუსხლტა და დედას შეეგება.

— მზია, იცი დღეს...

— ვიცი, დედა, 9 სექტემბერია... — პატარა თამრიკოს დედის ცრემლმა ლოყა დაუსველა.

— რატომ ტილიხალ, დედიკო!

— ჩემო პატარავ... დღევანდელ დღეს... ჩემი მამიკო დიდი ხნის წინათ ომში წავიდა და ჯერ არ დაბრუნებულა.

— ეს მამა, მამა ვასო? — ატიტინდა ორი წლის თამრიკო და საჩვენებელი თითი კედელზე ჩამოკიდებული დიდი პორტრეტისაკენ გაიშვირა ისე, რომ დედისათვის თვალი არ მოუშორებია.

მზიამ უსიტყვოდ დაუქნია დახრილი თავი.

თამარმა კარადა გამოაღო, კოსტუმი მზეზე გაიტანა და ფრთხილად დაუწყო წმენდა. 26 წელი შესრულდა, რაც ტანსაცმელში მის პატრონს ხელი არ გაუყრია. თამარი ფიქრებმა წაიყოლიეს. ქმრის მოლოდინმა გააჭაღარავა ერთგული მეუღლე, ყველასათვის საყვარელი და სათნო ადამიანი...

სადა ხარ ვასო ჯანიაშვილო, ხმა მაინც მოაწვდინე შენგან დანატრებულ ცოლ-შვილს. მშობლიურ ანაგაში კვლავ მოგელოდება შენი ვენახი, ზვრებიც კი გელიან, კახელო კაცო!

ნოდარ პაპაკიაური.

სურათზე: ვასილ ჯანიაშვილი.

დაგეძებენ, მოგელიან



სიმონ ლეონტის-ძე აფრიდონიძეს, დაბადებულს 1914 წელს ზესტაფონის რაიონის სოფ. ოდილაურში, ეძებენ ძმები — ვლადიმერ და ივანე (ვანიჩკა), და — ოლღა აფრიდონიძეები.

ოთარ გიორგის-ძე კეზელს, დაბადებულს 1918 წელს ქ. თელავში, ეძებს — ვახტანგ კონსტანტინეს-ძე კეზელი.

მამია გიორგის-ძე ყლენტს, დაბადებულს 1921 წელს, მახარაძის რაიონის სოფ. ვაიჯვარში, ეძებს დედა — თამარ ფილიპეს ასული ყლენტი.

ირაკლი (ჭოთა) სერგოს-ძე კოსტავას, დაბადებულს 1919 წელს ქ. ჭურთისში, ეძებს დედა — მარიამ დანელია-კოსტავასი.

სურათებზე: ქვემოთ, მარცხნიდან — მ. ყლენტი, ს. აფრიდონიძე, ი. კოსტავა; ზემოთ — ო. კეზელი.







მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: სამუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

მოისმინეთ საქართველოს

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი მისამართი:

თბილისი, ჭ. ათონელის, ქ. № 15.